

შპს NOVAMED GEORGIA

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

სარჩევი

გვერდი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2-3

სრული შემოსავლის ანგარიშგება

4-5

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

6-7

განმარტებითი შენიშვნები

8-20

შპს NOVAMED GEORGIA

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	Note	31.12.2020	31.12.2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	167 853	132 785
არამატერიალური აქტივი	5	1 134	1 605
		168 987	134 391
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	978 732	285 990
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	1 387 496	1 766 049
მარაგები	8	682 524	828 678
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	7	10 210	10 210
სხვა მიმდინარე აქტივები		4 992	10 965
		3 063 954	2 901 892
მთლიანი აქტივები		3 232 942	3 036 282
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		30	30
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		3 208 517	2 654 498
		3 208 547	2 654 528
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		0	0
		0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	18 192	378 565
მიღებული ავანსები		4 685	3 188
საგადასახადო ვალდებულებები	10	1 517	0
გადასახდელი დივიდენდი		0	0
		24 394	381 753
მთლიანი ვალდებულებები		24 394	381 753
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		3 232 942	3 036 282

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 17 ივნისს.

დირექტორი:

შპს NOVAMED GEORGIA

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	Note	31.12.2020	31.12.2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	167 853	132 785
არამატერიალური აქტივი	5	1 134	1 605
		168 987	134 391
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	978 732	285 990
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	1 387 496	1 766 049
მარაგები	8	682 524	828 678
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	7	10 210	10 210
სხვა მიმდინარე აქტივები		4 992	10 965
		3 063 954	2 901 892
მთლიანი აქტივები		3 232 942	3 036 282
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		30	30
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		3 208 517	2 654 498
		3 208 547	2 654 528
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		0	0
		0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	18 192	378 565
მიღებული ავანსები		4 685	3 188
საგადასახადო ვალდებულებები	10	1 517	0
გადასახდელი დივიდენდი		0	0
		24 394	381 753
მთლიანი ვალდებულებები		24 394	381 753
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		3 232 942	3 036 282

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 17 ივნისს.

დირექტორი:



შპს NOVAMED GEORGIA

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრისთვის

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	Note	12/31/2020	12/31/2019
ამონაგები	13	3,493,836	4,173,762
თვითღირებულება	14	(2,443,962)	(2,746,469)
საერთო მოგება		1,049,874	1,427,293
სხვა შემოსავლები	15	9,741	234
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი		(137,604)	(138,677)
მიწოდების დანახარჯები	16	(51,603)	(54,991)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	18	(32,048)	(45,020)
შემოსულობა/ზარალი ძირ.საშუალებების რეალიზაციიდან		1,334	(1,023)
სხვა ხარჯები	19	(822)	(33,119)
საოპერაციო მოგება		838,872	1,154,696
ფინანსური შემოსავალი	20	-	-
ფინანსური ხარჯი	20	-	-
ფინანსური ხარჯი - წმინდა			-
მოგება დაბეგვრამდე		838,872	1,154,696
მოგების გადასახადი		(42,728)	(80,902)
პერიოდის მოგება		796,144	1,073,794
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		796,144	1,073,794

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 17 ივნისს.

დირექტორი:

შპს NOVAMED GEORGIA

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრისთვის

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	Note	12/31/2020	12/31/2019
ამონაგები	13	3,493,836	4,173,762
თვითღირებულება	14	(2,443,962)	(2,746,469)
საერთო მოგება		1,049,874	1,427,293
სხვა შემოსავლები	15	9,741	234
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი		(137,604)	(138,677)
მიწოდების დანახარჯები	16	(51,603)	(54,991)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	18	(32,048)	(45,020)
შემოსულობა/ზარალი ძირ. საშუალებების რეალიზაციიდან		1,334	(1,023)
სხვა ხარჯები	19	(822)	(33,119)
საოპერაციო მოგება		838,872	1,154,696
ფინანსური შემოსავალი	20	-	-
ფინანსური ხარჯი	20	-	-
ფინანსური ხარჯი - წმინდა		-	-
მოგება დაბეგვრამდე		838,872	1,154,696
მოგების გადასახადი		(42,728)	(80,902)
პერიოდის მოგება		796,144	1,073,794
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		796,144	1,073,794

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 17 ივნისს.

დირექტორი:



შპს NOVAMED GEORGIA

**საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრისთვის**

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 31 დეკემბერი	30	-	2 654 498	2 654 528
მოგება წლის ბოლოს			796 144	796 144
სხვა სრული შემოსავალი				-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	796 144	796 144
გაცემული დივიდენდი			(242 125)	(242 125)
აქციების გამოშვება				-
2020 წლის 31 დეკემბერი	30	-	3 208 517	3 208 547

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 17 ივნისს.

დირექტორი:


შპს NOVAMED GEORGIA

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 31 დეკემბერი	30	-	2 654 498	2 654 528
მოგება წლის ბოლოს			796 144	796 144
სხვა სრული შემოსავალი				-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	796 144	796 144
გაცემული დივიდენდი			(242 125)	(242 125)
აქციების გამოშვება				-
2020 წლის 31 დეკემბერი	30	-	3 208 517	3 208 547

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 17 ივნისს.

დირექტორი:



1. ზოგადი ინფორმაცია

NOVAMED GEORGIA შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებული საქართველოში, კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო. იურიდიული მისამართი: ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ., N4, ბ. 2, ფაქტიური მისამართი: თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, ლუბლიანას ქუჩა N46. მისი ძირითადი საქმიანობაა ინტერვენციული კარდიოლოგიური სახარჯი მასალების რეალიზაცია.

კომპანიის რეგისტრაციის თარიღი - 2011 წლის 5 მაისი.

ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირი - გიორგი მარგველაშვილი

ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი - გიორგი მარგველაშვილი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული *მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის* შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარში).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და

საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივის ან ვალდებულების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად მოგების გადასახადის ხარჯის გაანგარიშება ეფუძნება პარტნიორებზე მოგების განაწილებას.

მოგებს გადასახადის ხარჯი არ მოიცავს საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად გაწეულ სხვადასხვა ხარჯზე გაანგარიშებულ მოგების გადასახადს, რადგან იგი არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას და აღნიშნული გადასახადი აღიარდება სხვა ხარჯის კადეგორიაში.

მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით 2016 წლის პირველი იანვრიდან გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს სალდირებულად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	50 წელი
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	5-8 წელი
სატრანსპორტო საშუალება	10 წელი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას და ინტელექტუალურ საკუთრებას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი

გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებებით. შეუძლებელია არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა. შესაბამისად მათი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით 10 წლის განმავლობაში. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ შესაძლებელია აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პრესპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის ტარდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმის, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიურ ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი ღირებულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში ხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც

*სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2020 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის*

განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებას და პროდუქციის დასრულების და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო შეწონილი ღირებულების“ მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულების საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგავრი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები განისაზღვრება დაქირავებულ მომუშავეებთან გაფორმებული ინდივიდუალური ხელშეკრულებების საფუძველზე. დაქირავებულ მომუშავეთა ხელფასის ანაზღაურება ხორციელდება ყოველი მიმდინარე თვის 25 რიცხვში.

ანაზღაურებადი შვებულების გამოყენების წესი ეფუძნება საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ პირობებს.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების წერილობითი გადაწყვეტილების საფუძველზე.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

საწარმო სათანადოდ არის ჩამოყალიბებული, მომგებიანია, მაღალ ლიკვიდურია და არ ექვემდებარება მნიშვნელოვან კომერციულ და ფინანსურ რისკებს, შესაბამისად ადგილი არ აქვს საწარმოში არსებულ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებულ არსებით განუსაზღვრელობებს, რომელიც საფუძვლიან ექვს წარმოშობს საწარმოს უნარზე საქმიანობა განაგრძოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ხელმძღვანელობა არ გეგმავს და არც აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება მომდევნო 12 თვის განმავლობაში განახორციელოს საწარმოს ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა.

შპს NOVAMED GEORGIA

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2020 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

4. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2019	133 000	28 586	10 161	171 747
შემოსვლა		647	47 700	48 347
გადაფასება	-			-
გასვლა	-	(1 380)	(13 010)	(14 390)
31 დეკემბერი 2020	133 000	27 853	44 851	205 704
ცვეთა და გაუფასურება				
31 დეკემბერი 2019	(12 541)	(21 737)	(4 684)	(38 962)
პერიოდის ცვეთა	(2 394)	(1 366)	(2 559)	(6 319)
გაუფასურება	-	-	-	-
გასვლა	-	1 380	6 050	7 430
31 დეკემბერი 2020	(14 935)	(21 723)	(1 193)	(37 851)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2019	120 459	6 849	5 477	132 785
31 დეკემბერი 2020	118 065	6 129	43 659	167 852

- ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებების თანხით.
- ცვეთის მეთოდი: წრფივი მეთოდი
- კომპანიის ძირითადი საშუალებები არ არის დატვირთული იპოთეკით და გირავნობით
- გასული ძირითადი საშუალებებიდან მიღებულმა შემოსულობამ შეადგინა 1334 ლარი.

შპს NOVAMED GEORGIA

*სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2020 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის*

5.არამატერიალური აქტივები

	ინტელექტუალური საკუთრება	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
31 დეკემბერი 2019	3 000	1 710	4 710
შემოსვლა		-	-
გადაფასება			
გასვლა			-
31 დეკემბერი 2020	3 000	1 710	4 710
ცვეთა და გაუფასურება			
31 დეკემბერი 2019	(2 200)	(905)	(3 105)
პერიოდის ცვეთა	(300)	(171)	(471)
გაუფასურება	-		
გასვლა	-		-
31 დეკემბერი 2020	(2 500)	(1 076)	(3 576)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2019	800	805	1 605
31 დეკემბერი 2020	500	634	1 134

- არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებებით.
- არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება წრფივი მეთოდით 10 წლის განმავლობაში.

6. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ნაღდი ფული და მოთხოვნამდე ანგარიშები

2020	2019
76	2,907
76	2,907

შპს NOVAMED GEORGIA

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2020 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

2020	2019
978,656	283,083
978,656	283,083

7. სავაჭრო მოთხოვნები და გადახდილი ავანსები

სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო

2020	2019
1,387,496	1,766,049
10,210	10,210
1,397,706	1,776,259

გადახდილი ავანსები

კომპანიამ აღიარა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი 305 ლარის ოდენობით. (2019 წელს 28,208 ლარი)

8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

მზა პროდუქცია

2020	2019
682,524	828,678
624,524	828,678

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 2,443,962 ლარი. მიმდინარე პერიოდში მარაგებისთვის აღიარებული გაუფასურების ზარალი არ გამოვლინდა .

მარაგები არ არის დატვირთული გირავნობით.

შპს NOVAMED GEORGIA

*სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2020 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის*

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები

2020	2019
18,192	378,565
18,192	378,565

10. საგადასახადო ვალდებულებები

ქონების გადასახადი

2020	2019
1,517	-
1,517	-

11. ამონაგები

საქონლის რეალიზაცია

2020	2019
3,493,836	4,173,762
3,493,836	4,173,762

12. სხვა შემოსავალი

არასაოპერაციო მოგება - უსასყიდლოდ მიღებული საქონელი

საგადასახადო შეღავათი საშემოსავლო გადასახადში

აღსრულების მოსაკრებლის ანაზღაურება

2020	2019
434	234
1,650	-
7,627	-
9,741	234

შპს NOVAMED GEORGIA

*სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2020 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის*

13. მიწოდების დანახარჯები

შრომის ანაზღაურება

ცვეთა

ტრანსპორტირების ხარჯები

2020	2019
(42,250)	(47,438)
(1,193)	(2,342)
(8,161)	(5,211)
(51,603)	(54,991)

14. სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

საკურსო სხვაობით მიღებული მოგება

საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი

2020	2019
26,725	5,933
(58,773)	(50,953)
(32,048)	(45,020)

15. სხვა ხარჯები

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი

დაუდასტურებელი ხარჯები გადასახადის ჩათვლით

2020	2019
(305)	(28,208)
(517)	(4,927)
(822)	(33,135)

შპს NOVAMED GEORGIA

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2020 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

16. მოგება დაბეგვრამდე

შემდეგი მუხლები აღიარებულ იქნა ხარჯად დაბეგვრამდე მოგების განსაზღვრისას:

	2020	2019
საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული თვითღირებულების ხარჯი	(2,443,962)	(2,746,469)
ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯი	(137,604)	(138,677)
მიწოდების ხარჯი	(51,603)	(54,991)
საკუროს სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	(32,048)	(45,020)
შემოსულობა/ზარალი.ძირ.საშუალებების რეალიზაციიდან	1,334	(1023)
სხვა ხარჯი	(822)	(33,119)
	(2,664,705)	(3,019,300)

17. საწესდებო კაპიტალი

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს საწესდებო კაპიტალის ნაშთი შეადგენს 30 ლარს, რომელიც სრულად შევსებულია.

18. დირექტორებისა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2020	2019
შრომის ანაზღაურება მთლიანად	60,000	60,000
	60,000	60,000

*სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2020 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის*

19. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ქონია

20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 17 ივნისს.

დირექტორი:

შპს NOVAMED GEORGIA

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2020 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

19. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ქონია

20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 17 ივნისს.

დირექტორი:

